საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 4380
10/09/2020

4380-0-4-202009101445

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 581-ე-606-ე მუხლების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 25-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული დანართში წარმოდგენილი ქონების სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით 2020 წლის 10 სექტემბერს ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით აუქციონატორის უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროს სპეციალისტს პელაგია კალანდაძეს (პირ.№33001025930);
3. ქონების საწყისი ყოველწლიური საიჯარო თანხად განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად;
4. განაცხადის გაკეთების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 10 სექტემბრის 15 საათიდან 2020 წლის 24 სექტემბრის 15 საათამდე პერიოდი;
5. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადად განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 წელი, ხოლო საიჯარო ფართებზე 20 წელი;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

7. ბრძანება ძალაშია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია